პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | ოთხშაბათი, 18 თებერვალი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 38 (726) 1-ლი და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა | ელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ. | მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## წითელ-არმიელო გაუკეთე ჯამი შენს ნამუშევარს.

...კიდევ რამოდენიმე დღე და ...ნ ვიდღესასწაულებთ წითე... არმიის არსებობის შვიდი ...ის თავს.

...მ დღეს წითელი არმია გა... ...ედავს თავის განვლილ გზას, ...კეთებს ჯამს თავის ნამუ... ...არს და დაისახავს ახალ ...ცანებს თავისი რიგების გა... ...კიცების და გაძლიერების ...მეში. ამრიგად თითეული ...გიონი, თითეული დივიზია, ...სხვა რომელიმე სამხედრო ...ილი, მთლიანად გადახედავს ...ის ნამოქმედარს, ნაამაგარს, ...იშნავს ნაკლს და მიღწე...ს.

...ჩვენი ძლიერებაც სწორედ ...მი მდგომარეობს. ...წარსულის გაკვეთილებზე, ...რსულის გამოცდილებაზე— ...ცდომებზე თუ მიღწევებზე ...ნ ვსწავლობთ და ამით ვამ... ...იცებთ წითელი ჯარის რი...ბს.

...აგ რომ წარსული მუშაო... ...ს გადათვალიერება, მისი კი ...ერთხელ გათვალისწინება ...ცილებლად საჭიროა არა ...მხოლოთ მთელი წითელი ...მიის ან რომელიმე სამხედ... ...ნაწილისათვის, არამედ ...ეთვე თითეული პოლიტ-...მუშავეს, მეთაურის და უმ...რესად წითელ არმიელების... ...რ. თითეული წითელ-არმი...ი ვალდებულია ამ დღეს ...კითხოს თავის თავს: რა ...კეთე შენ წითელ ჯარში ...ვლის შემდეგ? რას მიაღ... ჩვენი წითელ-არმიელები ...გაზრდები არიან სამხედ... საქმეში. მათ ჯერ არ

უხილავთ ბრძოლის ველი, არ განუვლიათ სამოქალაქო ომის გაკვეთილები, მათ კი უნდა ეცოდენ, რომ ასეთი დრო დადგება. ჩვენი მტრები გამალებით ემზადებიან ომისათვის.

ამიტომაც საჭირო არის ჩვენც მუდამ მზად ვიყოთ. ეს ჭეშმარიტება ყოველთვის უნდა ახსოვდეს წითელ-არმიელს. ის მუდამ უნდა ზრუნავდეს თავის პოლიტიკური და სამხედრო ცოდნის გაღრმავებაზე და გაფართოვებაზე.

წითელი—მეომარი უნდა იყოს რევოლიუციონიური დისციპლინის, მტკიცე ნების ყოფის და უშიშრობის მაგალითი აი ის ამოცანები, რომელიც სდგას თითეული წითელ-არმიელის წინაშე. და როდესაც ახლოვდება წითელი-არმიის მეშვიდე წლის თავი, წითელ-არმიელი უნდა შეეკითხოს თავის თავს: რა გააკეთე ამ მხრივ შენ? ყველაფერი შეასრულე, რაც დავალებული ჰქონდა? სინდისიერათ ეკიდები შენ მოვალეობას და ვალდებულებებს? ყველა ამ კითხვებზე წითელ-არმიელმა უნდა მისცეს თავის თავს ანგარიში და მტკიცედ გასინჯოს თავისი ნამუშევარი. მაგრამ არ კმარა გასინჯვა. საჭიროა ნახული ნაკლის გამოსწორება.

მეშვიდე წლის თავზე წითელ-არმიელმა უნდა დაისახოს მიზნად სწრაფად გამოასწოროს ის ნაკლი, რომელიც იყო მის მუშაობაში და მით ხელი შეუწყოს წითელ-არმიელის გამაგრებას და გასალკდევებას.

## მაკდონალდის რეზოლიუცია უარყოფილ იქნა.

მაკდონალდის რეზოლიუცია, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მთავრობის პოლიტიკას მრეწველობის დაცვის საკითხში, უარყოფილ იქნა 336 ხმით 146-ს წინააღმდეგ.

## საფრანგეთში იზრდება უმუშევრობა.

### უმუშევრები მოითხოვენ უფლებას შრომაზე.

ჩრდილოეთ საფრანგეთში ძლიერდება უმუშევრობა. უმუშევრები მოითხოვენ შრომას და პირობების გაუმჯობესებას. უმუშევართა დელეგაცია არ მიიღეს.

## საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს მოწოდება.

### სოციალისტები-ერიოს მონებია, კომპარტია კი მშრომელთა ინტერესების დამცველია.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტ-ბიურომ მოწოდებით მიმართა მშრომელებს, რომ სოციალისტები მონურად იწონებენ ერიოს პოლიტიკას და ღალატობენ მუშების კლასობრივ ინტერესებს. ისინი იბრძვიან კომპარტიისა და რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ.

პოლიტბიურო უპირის-პირებს წვრილ ბურჟუაზიულ სოციალისტების ვექილთა სალაყბოს კომპარტიის პროლეტარულ ყრილობას, რომელიც ნამდვილი მებრძოლი ორგანიზაციაა კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მოწოდება თავდება მიმართვით მუშა-სოცილისტებსა და უპარტიოებისადმი შევიდენ კომპარტიის რიგებში.

## მუშათა დემონსტრაციები.

16 თებერვალს პრაგაში მოხდა მუშათა დემონსტრაცია სიძვირისა და პოლიციის თავდასხმის გამო მუშებზე.

დემონსტრაციას ხელმძღვანელობდენ კომუნისტების ლიდერები. დემონსტრანტები გაჰფანტა პოლიციამ დააპატიმრეს მრავალი მუშა. დიდი დემონსტრაციები მოხდა აგრეთვე ჩეხიის, მორავიის და სლოვაკიის ქალაქებში.

## მინისტრი-მექრთამე.

მარქსის ყოფილი მთავრობის წევრმა, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა—გეფლემ მინისტრობის დროს აიღო მრეწველ ბარმატისაგან ქრთამი; ეს საქმე გამოძიებულ იქნა და ხსენებული ყოფილი მინისტრი დააპატიმრეს ამ დღეებში.

(დეპეშიდან)



ფულს ვიღებდი ფეშქაშად,
არა როგორც ქრთამიდა,
არავის ვსთხოვდი... მოჰქონდათ
ისე, თავის თავადა.

დღეს მექრთამედ მომნათლეს,
ეს არ არის მართალი:
სად მექრთამე, სად გეფლე—
სოციალისტი—სანდალი.

## ინგლისის რეაქციამ ახალი კამპანია დაიწყო პროფკავშირთა წინააღმდეგ.

რეაქციონური გაზეთი „მორნინგ პოსტი“ ათავსებს წერილებს, რომლებშიაც ის ბრალს სდებს პროფკავშირთა ლიდერებს ფლანგვაში. გაზეთი აღნიშნავს, რომ პროფკავშირთა ფონდის საერთო ჯამი 1920 წელში უდრიდა 15 მილიონ 900 ათას გირვანქა სტერლინგს, ხოლო 1923 წელში—9 მილიონ რვაასი ათასს. გაზეთი კითხულობს სად წავიდა ეს

## საერთაშორისო რევოლიუციის ძალები განუწყვეტლივ იზრდება.

...ელი ნაბიჯით, მაგრამ მტკი...დ იზრდებიან რევოლიუციის ...ები კაპიტალისტურ ქვეყ...ში. ამ ზრდას დიდათ უწ...ს ხელს თვით კაპიტალის...რი რეაქცია, რომელიც გა...ებულია დღეს მთელ ევ...პაში. კაპიტალის შეტევა ...ების წინააღმდეგ, მისი მკა...ი ზომები რევოლიუციონურ ...ტიების მიმართ, ფაშიზმის ...უხისმგებლო თარეში, მუ...ა ორგანიზაციების დარბე... ...და ზოგიერთ ქვეყნებში მა...აკრძალვა, სასტიკი დევნა ...ხთა მოძრაობის წინააღმ... ...—ყველაფერი ეს ანოყიე...ს რევოლიუციის ნიადაგს ...ადიდებს მის ძალებს.

...მივმართოთ მაგალითებს. ...ზიციის ბრწყინვალე გამა...რჯვება სამხრეთ-სლავიაში საპარლამენტო არჩევნებზე, საუკეთესო მაგალითია იმის, თუ რამდენათ გაბოროტებულია ფაშიზმის წინააღმდეგ არა თუ მუშები, აგრეთვე გლეხთა ფართო მასებიც.

მსგავს უკმაყოფილებას ჩვენ ვხედავთ ჩეხო-სლოვაკიაშიც, სიძვირის და შიმშილის ნიადაგზე, პოლონეთში და ბულგარეთში. გადავიდეთ ეხლა მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გამყიდველობის და გათახსირების ახალ გამომჟღავნებამ სპეკულიანტ ბარმატის საქმესთან დაკავშირებით, მორიგი ლახვარი ჩასცა მის ავტორიტეტს მუშათა მასებში. გერმანიის ბურჟუაზია და სოციალ-შემთანხმებლები სცდილობენ კომუნისტების პროვოკაციული გასამართლებით გაინელონ მათი შავი საქმეების გარემოებით შექმნილი შთაბეჭდილება მუშებში მაგრამ ამაოდ. თავისი საზიზღარი პროვოკაციული გამოსვლებით კომუნისტების წინააღმდეგ გერმანიის შავი და ყვითელი კონტრ-რევოლიუცია მხოლოდ ხელს უწყობს მასების რევოლიუციონურ გამოფხიზლებას.

არა ნაკლები მიღწევები აქვს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიასაც, რომლის ძალები დღითი დღე იზრდება და მოსვენებას არ აძლევს ბურჟუაზიას.

რევოლიუციონურ მოძრაობამ არ დაინდო არც ინგლისი. „უმცირესობათა“ მოძრაობა, რომელიც მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის პოზიციაზე სდგას დღითი დღე იზრდება და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს შემთანხმებელ უმრავლესობისათვის.

ინლისის რეაქცია და შემთახმებლები გაფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ „უმცირესობის“ წინააღმდეგ, მაგრამ უნაყოფოთ.

რაც დღე მიდის ეს მოძრაობა უფრო ფართოვდება და დიდ ავტორიტეტს იხვეჭს ინგლის ს მუშებში. სხვაფრად არც შეიძლება იყოს, ვინაიდან კაპიტალის თავხედი შეტევა ინგლისის მუშებზე მოითხოვს მისგან ენერგიული კონტრ შეტევის მოწყობას. თუ კაპიტალი ადიდებს სამუშაო დღეს, აძცირებს ხელფას, ხელს უწყობს უმუშევრების ზრდას და ერთი სიტყვით მუშების ზურგზე სურს გადიტანოს კრიზისი, არც პროლეტარიატს არ შეუძლია ხელებ დაკრეფილი იყოს. ისიც თავის მხრით აწყობს თავდაცვას. და ასეთ მომენტში ის ენდობა მას ვინც გულახდილად მას მოუწოდებს შეურიგებელ ბრძოლისაკენ და არა იმათ ვინც მოთმინებას და მორჩილებას ქადაგებს.

მემარცხენე უმცირესობა წარმოადგენს სწორედ იმ რევოლიუციონურ ხერხემალს ინგლისში, რომლის გარშემო იკრიბება ინგლისის პროლეტარიატის საუკეთესო ძალები. მიუხედავათ იმისა, რომ უმცირესობათა მიმდინარეობის ხელმძღვანელ კადრს მოშორდა ერთი წევრი—ტერნერი და გადავიდა შემთანხმებელთა მხარეზე, უმცირესობა მაინც მტკიცედ სდგას თავის პოზიციაზე და განაგრძობს ინგლისის მუშათა კლასის დარაზმვას თავის გარშემო. აშკარად მან თავის თავზე აიღო სრულიად ინგლისის მუშათა პროფკავშირების სასწრაფო ყრილობის მოწვევის ინიციატივა.

მას დიდი ბრძოლა მოუვა ამ მხრივ, მაგრამ ერთი კი ცხადია ინგლისის მუშათა მასების მეტი სიმპატია და თანაგრძობა მის მხარეზეა, რაც საუკეთესო საწინდარია გამარჯვების.

ყოველივე ზემო ნათქვამი ნათლად გვიხატავს ჩვენ იმ სურათს, რომ მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა კაპიტალის სამეფოში შეუჩერებლივ იზრდება, ფართოვდება და მტკიცედ მიიწევს წინ გამარჯვებისაკენ.

—ე.

ფულებით და იქავე უპასუხებს: პროფკავშირთა სახელმძღვანელო ხარჯებზე.

ამასთან გაზეთი აღნიშნავს, რომ პროფკავშირთა წევრების რიცხვი 6 მილ. 900 ათასიდან 4 მილ. 350 ათასამდე შემცირდა.

გაზეთის მიზანია დაამციროს პროფკავშირთა ავტორიტეტი და შეიტანოს მუშათა რიგების დისციპლინაში რღვევა.

## უცხოელ მუშების შესახებ საფრანგეთში.

პარიზში შესდგა კონფერენცია, რომელიც მიძღვნილი იყო საფრანგეთში მყოფ უცხოელ მუშების მდგომარეობის საკითხისადმი.

კონფერენციამ გამოიმუშავა განცხადება, რომელიც შეტანილ იქნება პარლამენტში.

განცხადებაში აღნიშნულია ზომები, რომლებიც მიღებულ უნდა იქნან უცხოეთიდან მუშების შემოსვლისა და მათი ერთი პროფესიიდან მეორეზე გადასვლის წინააღმდეგ.

## სესხი ანუ ამერიკული მძიმე უღელი პოლონეთს.

ამერიკის ბანკების სინდიკატმა ხელი მოაწერა პოლონეთის სესხზე, რომელიც უდრის 50 მილიონ დოლარს. სესხი გამოშვებული იქნება 6 პროც.-თ 25 წლის ვადით.

## თეთრგვარდიელთა „შაიკის“ დაპატიმრება.

ვარშავში დააპატიმრეს რუსი ემიგრანტი გრაფი ტოლი, რომელიც ჯაშუშობას ეწეოდა გერმანიის სასარგებლოდ. ტოლთან ერთად დააპატიმრეს თავადი დვალოვი, ბარონ ტიზენგაუზენი და ვინმე გაევსკი.

გრაფი ტოლი დიდ როლს თამაშობდა მონარქიულ ემიგრაციის შორის და ითვლებოდა მონარქისტების კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად.

ამასთან დაკავშირებით დააპატიმრეს აგრეთვე პოლონეთის მრავალი ახალგაზრდობა.

## საარჩევნო შეტაკებები.

### საზოგადოებრივი მშვიდობიანობის გულისთვის.

16 თებერვალს რიგაში საარჩევნო მოწოდებათა გავრცელების დროს ნაციონალური კლუბისა და სოციალ-დემოკრატების მუშათა—სპორტსმენებს შორის მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება. სროლის დროს ფაშისტებმა მოჰკლეს ერთი სოციალ დემოკრატი. ბევრი მძიმედ დაიჭრა.

საქმე გადაეცა სასამართლოს.

მთავრობა შეამდგომლობს სეიმის წინაშე დახურულ იქნას კლუბი და დაიმალოს სოციალ დემოკრატიული „მუშათა სპორტის კავშირი“ საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვის მიზნით.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ.

**ტფილისის მაზრა**

— **მანგლისის თემი.** მანგლისის თემში საბჭოთა არჩევნები ჩატარდა დიდი სიცხოველით. არჩეულ იქნა ყველა სასოფლო საბჭოები.

— **სოფლის საბჭოები** არჩეულ იქნა მანგლისის თემის შემდეგი სოფლების საბჭოები, სადაც უმთავრესათ გავიდენ უპარტიო გლეხები: სოფ თიონეთის, შახვეტელას და პასელენის.

— **გომბორის თემში.** გომბორის თემში არჩევნები დასრულდა. არჩეულ იქნა თვით გომბორის და სოფ. ბორჭორის საბჭოები.

**სენაკის მაზრაში.**

სენაკის მაზრის შვიდ თემში არჩეულია 294 დეპუტატი. აქედან 99 კომუნისტი, 20 კანდიდატი, 24 კომკავშირელი და 19 ქალი.

**სენაკის მაზრაში.**

ახალსენაკის მაზრაში არჩევნები დაიწყო 10 თებერვლიდან.

— **გულხეთის თემი.** გულხეთის თემის საბჭოში აირჩიის 21 დეპუტატი. მათ შორის 7 კომუნისტია და 3 ქალი.

— **ახალ აბაშის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 84 დეპუტატი, მათ შორის 18 კომუნისტია და დანარჩენი უპარტიოები.

— **სეფიეთის თემში.** სათემო საბჭოს არჩევნები დასრულდა. აირჩიეს 20 დეპუტატი. აქედან 8 კომუნისტია.

**აღმასკომის თავმჯდომარეები.**

სათემო აღმასკომთა თავჯდომარეებათ ყველგან გავიდენ კომუნისტები, ხოლო მათ მოადგილეებათ კი უპარტიო გლეხები.

**ხუთშაბათს, 19 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში (ოთ. № 1) დანიშნულია ტფილისის აღმასკომის მორიგი სხდომა.**

**დღის წესრიგი:**

1) ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მუშაობის შესახებ შრომის და დაცვის კომისიის დასკვნა.

მომხ. ინჟ. ჭიჭინაძე.

2) თუგესის ორგანიზაციის შესახებ. **მომხ. ამხ. ასრიევი.**

3) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

**პრეზიდიუმი.**

## ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

ამიერ კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო და დღენილების პროექტი ამიერ კავკასიაში უჩვეულო ზამთრის გამო, მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის გამაფრთხილებელ ზომების შესახებ.

პროექტში აღნიშნულია, რომ ამიერ კავკასიაში ჯერ—ჯერობით ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე მეტეოროლოგიურ მოვლენათა, შესწავლის საქმე და ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას წინასწარ გავითვალისწინოთ თუ სად ან რომელ რაიონს მოელის წყალდიდობისაგან ზარალი.

არ არის სათანადოთ შესწავლილი, კავკასიის ბუნება, მისი ჰავა და მდინარეების რეჟიმი. ამიტომ საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ხსენებულ მოვლენების შესწავლას, სათანადო მეტეოროლოგიურ (ჰავის შემსწავლელ) და ჰიდრომეტრიულ (წყლების შემსწავლელ) სადგურების მოწყობას.

რადგანაც უმთავრესი მნიშვნელობა წყალდიდობასთან ბრძოლის საქმეში აქვს მდინარეებში წყლის დონეს თვალყურის დევნების საქმეს, წყლის დონეს საზომ პუნქტების მოწყობის საშუალებით, მიეცეს წინადადება რესპუბლიკების უმ. ეკონომ. საბჭოებს საჩქაროთ შეადგინონ იმ რაიონების და ადგილების სიების შედგენას, სადაც მოსალოდნელია წყალდიდობა და ღვარიანობა, და სადაც საჭირო იქნება წყლის დონეს საზომი პუნქტების მოწყობა. წყლის დონეს საზომ პოსტების გამგეებს მიეცეთ უფლება რიგის გარეშე გაგზავნონ უფასო დეპეშები.

ამ წინასწარ ზომების სახელმძღვანელოთ და წყალდიდობის წინააღმდეგ საბრძოლველათ მ ეწყოს: ა. კ. ს. ფედ. რესპუბლიკის ცენტრში დროებითი საგანგებო კომისია ა. კ. სახ. კომსაბჭოსთან. რესპუბლიკებში კი მოეწყოს საგანგებო სამეულები მიწად მოქმ. კომისარიატთა ხელმძღვანელობით. მაზრებში კი—წყალდიდობის რაიონებში დაარსდეს საგანგებო სამეულები შინ. საქ. სახ. კომისარიატების ხელმძღვანელობით. ქალაქებში კი დაარსდეს ასეთივე სამეულები ქალაქთა აღმასკომების მეთაურობით.

წინასწარ გასაფრთხილებელ სამუშაოთა შესასრულებლათ მოსახლეობა შეიძლება გამოყვანილ იქნას, ნებაყოფლობითი დაქირავების ნიადაგზე და თვით წყალდიდობის დროს კი შრომის ვალდებულების წესით იმ სამუშაო ხელფასის მიცემით, რომელზედაც მოხდება შეთანხმება შრომის კომისარიატთა და პროფკავშირებთან.

იმ შემთხვევაში თუ, მუშაობის დროს საჭირო იქნება სატყეო მასალის მოხმარება, როგორც მაგალითად, ფიცრები, წნელი, ფარჩხი და სხვა, საჭიროთ იქნეს ცნობილი, რომ აღნიშნული მასალები გაცემულ იქნეს უახლოეს სატყეო აგარაკებიდან უფასოთ.

X.

## ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

**სასამართლოები სოფლათ.**

სოფელ ქარელში და ახალქალაქში (გორის მაზრა) გადაწყვეტილია გაიხსნას სახალხო სასამართლოები.

**სკოლების მოსაწყობათ.**

წარსული წლის განმავლობაში ბორჩალოს სამაზრო გლეხკომს დაუხარჯავს 3500 მანეთი და 50 ფუთი პური მაზრის სკოლების მოწყობა - შეკეთებისთვის.

**სასწავლებელი საჩხერეში.**

შორაპნის აღმასკომმა დაადგინა საჩხერეში გასახსნელათ განზრახულ სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის ხარჯები შ... იტანოს ბიუჯეტში და სასწ... ლებლის შენობათ გამოიყენ... ყოფ. მემამულე როსტომ წ... რეთლის შენობა.

**საექიმო პუნქტები.**

გორის აღმასკომმა დაადგ... გახსნას საექიმო პუნქტები სო... ხელთუბანში, ბობნევში, ახა... დაბაში, ალში და საკიხურე...

**ინვალიდების გადასინჯვა ს... ნაკში.**

სენაკის მაზრაში ამ ... სწარმოებს ომისა და შრომ... ინვალიდების გადასინჯვა, ... თი კატეგორიებათ დაჯგუ... ბის მიზნით.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

**კედელი კი არ იცავს ადგილს, არამედ კეტი, რომელ... სცემს მას, ვინც მიდის ამ კედელზე.**

შეტევის წარმოების დროს ჩვენ არა ერთხელ მოგვიხდება ზოგიერთ ადგილზე ვაწარმოოთ დროებით მოგერიებითი ბრძოლა.

გორაკების, ტყის ნაპირებისა და სხვა ადგილების გამაგრებით, წინ მდებარე ადგილების შესწავლით, ჩვენი ცეცხლის იარაღების მიზანშეწონილად განაწილებით ჩვენ შევქმნით საიმედო „საწინააღმდეგო პუნქტებს“.

მათი აღება ჩვენი თანაბარი ძალით მტერს გაუჭირდება.

მაგრამ „ინიციატივა“, ე. ი. მოქმედების თავისუფლება ყოველთვის შეტევაზე გადამსვლელის მხარეზეა.

ჩვენი დაძლევის მიზნით მტერი, უეჭველია, მოიმართავს არტილერიის დიდ ძალას ამ ჩვენი პუნქტების წინააღმდეგ. ამ არტილერიის ცეცხლს ის დაუშვებს ჩვენს პოზიციებს იმ დისტანციიდან, რომლისგანაც შეიძლება ხელი შეუშალოს ჩვენი ტყვიამფრქვევების ამოქმედებას. ამ რიგად ჩვენ ვერ შევძლებთ გამოვიყენოთ ჩვენი ადგილმდებარეობის მოხერხებული პუნქტები.

შორი მანძილიდან მტერს შეუძლია გაანადგუროს და მიწასთან გაასწოროს ჩვენი გამაგრებული ადგილები,—ძირ... დიანად დაანგრიოს ჩვენი ... დელი.

თავდაცვისათვის ჩვენ გვ... რდება „კეტი“. მასთან ეს „... ტი“ უნდა იყოს კარგი და შ... მანძილზე სცემდეს.

აი ასეთი „კეტი“ არის ა... ტილერია.

ის ადრიანად მოშინჯავს ა... გილს. ის განსაზღვრავს იმ ა... გილებს და გამოარკვევს, ... სად შეიძლება დამალული იყ... მტრის არტილერია. მას ეც... დინება თუ საითკენ გაგზავნ... მტრის ბატარეები თავიანთ მ... თვალთვალეებს... თავიანთ მ... რავებს... და მტრის პირვე... ცდების თანავე აამეტყველ... ზარბაზნებსა და გაუბიცებს ... „ენას ჩაუგდებს“ მტრის ზ... ბაზნებს.

თუ დროებით საქმე შეე... ხდება, იგივე არტილერია ... რიალდება გათამამებულ მტ... წინააღმდეგ. ის დავთარს ა... ნევს მის ძალებს. ის დროს ... იგებს მაშველი რაზმების მ... ყვანად. ის მოუმზადებს ქ... თა ჯარს გამარჯვებას მის კ... ტრიერიში.

არტილერია მოგერიებით ... ძოლაში აძლევს ქვეითა ჯ... შეუდრეკელ ძალას.

ს. კასინოვ...

## კანდიდატების პოლიტიკურად მომზადების შესახებ.

ამჟამად ტფილისში მყოფ ნაწილებში ბლომად გვყავს ახლად მიღებული პარტიის კანდიდატები და თანაც ნაწილებში კიდევ გრძელდება კანდიდატების მიღება, რაც დადებითი მოვლენას წარმოადგენს ჩვენს მუშაობისათვის. მაგრამ აქ ჩვენ გვხდება ერთი დაბრკოლება, რომელიც გადალახულ უნდა იქმნეს, სახელდობრ, მათი პოლიტიკური მოუმზადებლობა.

მუშა და გლეხი, რომელიც ჩვენს პარტიაში მოდიან, მათ ჩვენს პარტიასთან აახლოვებს ყოველთვის მდგომარეობა და არა თეორეტიული მომზადება და მთლიანათ პარტიის პროგრამის გაცნობა.

გლეხი და მუშა ნაკლებათ არიან გაცნობილი მარქსიზმის თეორიასთან რადგან მათ საამისო სწავლა-განათლება არ აქვთ მიღებული. და თუ მუშებიდან გვყავს მომზადებული ამხანაგები, ასეთები არიან ძველი პარტიის წევრები, 1905 წლიდან პარტიაში აქტიურად მომუშავენი, რომელთაც, რასაკვირველია, თეორეტიული მომზადებაც აქვთ.

მაგრამ არსებული მდგომარეობა დიდათ განსხვავდება წარსულიდგან.

ძველათ, ე. ი. 17 წლის რევოლუციამდი პარტია ყოველთვის მუშაობდა არა ლეგალურად, მაშასადამე პარტიული წიგნები და ჟურნალ-გაზეთებიც არა ლეგალურად გამოდიოდა და ისიც ძალიან იშვიათად. შეიძლება ერთი პროკლამაცია ან არალეგალური გაზეთი თვეში ერთხელ ჩაგვარდნოდა ხელში, ასევე ითქმის წიგნების შესახებაც.

ეხლა კი სულ სხვა მდგომარეობაა. როდესაც გინდა მაშინ წაიკითხავ ყველა საკითხის და ხასიათის წიგნებს, გაზეთი რამდენიც გინდა იმდენია, როგორც ნაწილებში, ისე ბიბლიოთეკა - სამკითხველოებში. ამას გარდა მოწყობილია პარტ-შკოლები 1-ლი და მეორე საფეხურების. ერთი სიტყვით ამ მხრივ არავითარი დაბრკოლებას ადგილი არა აქვს. მხოლოდ აქ ერთი რამ არის საჭირო. ეს არის ერთგვარი ენერგიის გამოჩენა და დაუზარებელი მეცადინეობა თვით გასანვითარებლად. თუ ეს რომას არ დავიზარებთ მაშინ შესაძლებელი გახდება ჩვენთვის გადავლახოთ ყოველივე დაბრკოლება და მოვემზადოთ ისე, როგორც ეს საჭიროა და გამოსადეგი იქნება საერთოდ მთელი პარტიისათვის და ხალხისათვის. ამიტომ ყველა ის, ვინც დამტკიცებულია პარტიის კანდიდატად ან ვინც აპირებს შემოსვლას პარტიაში, ისინი ყოველთვის გაორკეცებული ენერგიით უნდა ეწაფებოდენ საერთოდ და კერძოთ პარტიულ პროგრამის და მის მიზნების შეთვისებას. ... გი კომუნისტი გახდები მ... როდესაც ლენინიზმის მ... ვრი იარაღით იქნები შე... ღებული, რასაც ჩვენ უ... დებთ პოლიტიკურათ მომზ... ბას. აი ეს არის ჩვენი უძ... ლესი იარაღი, რომლითაც ... ველთვის ვამარცხებთ მტ... ამ საქმეს თვით წ. არმიე... შემადგენლობამ უნდა მო... დოს ხელი და მას ამავე დ... ყოველთვის დიდ დახმარ... გაუწევს როგორც თავის ... ლიტ-ხელი, აგრეთვე ნაწ... უჯრედები და კოლექტ... რომლების დანიშნულებ... შეადგენს წ. მოლაშქრ... საზოგადოთ განვითარება... ბით უმეტეს კანდიდატების... კანდიდატებათ შემომსვლ... ბის პოლიტიკურად მომზ... ბა. ამხ. ახ. კანდიდატებო... მომავალო კანდიდატებო, ბ... გიულათ ემზადეთ პოლიტ... რად და კარგათ შეითვ... კომუნიზმის იდეებიც.

ს. ლომი...



# კულტურულ ფრონტზე

## წრეები მუშაობენ. კედლის გაზეთიც კარგია.

(მესამე ლეგიონი).

მესამე ქართულ ლეგიონში უკვე დაიწყო ნორმალური მუშაობა. წრეებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. ლენინის კუთხეებში სისტემატიურად მიმდინარეობენ სხვა და სხვა ხასიათის საუბრები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლეგიონის ყოველ კვირეული კედლის გაზეთი „გუშაგი“.

სარედაქციო კოლეგია ენერგიულად საქმიანობს და გაზეთის სისტემატიურად გამოცემა ერთხელ არ შეწყვეტილა.

გაზეთი ძლიერ შინაარსიანია. გარეგნული მხარე საკმაოდ ლამაზი. ნაწერი გარკვეული და სუფთაა.

თანამშრომლობენ უმთავრესად წითელ-არმიელები.

გაზეთი მდიდარია ლეგიონის ყოფა-ცხოვრების საკითხებით. მოსწრებული იუმორი და კარიკატურები ძლიერ იზიდავს მკითხველებს. გაზეთი „გუშაგი“ სავსებით აკმაყოფილებს ლეგიონის მოთხოვნილებას.

ამ ახლო მომავალში ლეგიონში განზრახულია ჟურნალის გამოცემა „წითელი ქამანდის“ სახელწოდებით.

ამ ჟამად წამოებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ვიმედოვნებთ მომავალში ეს მუშაობა უფრო ნაყოფიერდება. საჭიროა მეტი წითელ-არმიელები იქნებოდეს ჩათრეული აღნიშნულ მუშაობაში.

პარტკორი ტატიანელი.

### ე. ნინოშვილის გმირის „ქრისტინეს“ ლიტერატურული გასამართლება.

14 თებერვალს პირველ მეხანგრეთა ასეულში მოეწყო ლიტერატურული გასამართლება. გასამართლებული იქნა ე. ნინოშვილის მოთხრობის გმირი „ქრისტინე“, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია წითელ-არმიელებში.

სასამართლოს თავმჯდომარეობდა სამხკომი ამხ. ჯავახოვი, ხოლო წევრებად არჩეული იყვნენ, როგორც მეთაურებიდან ისე წითელ-არმიელებიდანაც.

მიუხედავათ იმისა, რომ გასამართლება ნაუცფათევი ხასიათისა იყო, როგორც დამცველები ისე ბრალმდებლები საკმაოდ მომზადებული აღმოჩნდენ. სამი საათის განმავლობაში გაცხოველებულმა კამათმა მრავალი ფაქტები წამოშალა სასამართლოსა და მაყურებელთა წინაშე. წითელ-არმიელებიც დიდი ყურადღებით მოეკიდენ კამათს. ბევრისთვის პირველი იყო თავის სიცოცხლეში ასეთი გასამართლების მოსმენა და ცხადია დიდათ კმაყოფილი დარჩენ.

როდესაც სასამართლო გავიდა განაჩენის გამოსატანად და რამოდენიმე წუთის ბჭობის შემდეგ მათ გამართლებულად გამოცხადეს ქრისტინე და ბრალდების მთელი სიმძიმე გადატანილი იქნა ქრისტინეს გამბრიყვებელზე, მთელი დარბაზი მქუხარე ტაშის ცემამ მოიცვა.

ასეულის ლიტერატურულმა წრემ ამ დღეს პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა. გასამართლება მეტად შინაარსიანი გამოდგა.

იმედია წრე ანგარიშს გაუწევს წითელ-არმიელების თხოვნას და ხშირად მოაწყობს ასეთ გასამართლებებს.

ეს ძლიერ აინტერესებს არმიელებს.

სამხკორი ლ. გიორგაძე.

# საკლუბო მუშაობა ცხენოსან ლეგიონში.

ჩვენი ლეგიონის თითეულ წითელ-არმიელს ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რას წარმოადგენს კლუბი, რას ემსახურება და რა აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელს მისთვის. სწორედ ასეთ შეგნებით აიხსნება ის ფაქტი, რომ თითქმის მთელი წითელ-არმიელების მასსა (გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ წერა-კითხვის უცოდინარნი) ჩაბმულია აქტიურ საკლუბო მუშაობაში. ლეგიონში არსებობენ სხვა და სხვა წრეები, როგორცაა: პოლიტიკური, ანტირელიგიური, დრამატიული სასპორტო, მომღერალთა და ლიტერატურული.

ყველა წრეებში ნაყოფიერად მიმდინარეობს მუშაობა, გარდა ლიტერატურულ წრისა. ამ უკანასკნელს თავიც-კი ვერ მოუყრია თავის წევრებისთვის. (მასთანაც, არ შეიძლება ითქვას, რომ წევრები არ ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი აღნიშნულ წრის მუშაობით) მაშასადამე აქ არის რაღაცა სხვა მიზეზი, რომელიც იქნება გამოარკვიოს და გვაცნობოს კლუბის უფროსმა.

გულ-გრილობას ბოლო უნდა მოეღოს. რაც შეეხება მასსიურ მუშაობას, ის ცოტას მოიკოჭლებს. ქალაქიდან დაშორების გამო არმიელებს ძლიერ ეზარებათ თავისუფალ დროზე ქალაქში გასვლა. ამ მოვლენას კი საჭიროა ყურადღება მიაქციოს კლუბის უფროსმა და ყოველივე ღონის ძიება, მიიღოს რათა სისტემატიურად ტარდებოდეს ყოველ შაბათს ლეგკლუბში საღამოები.

გეზი.

# საბიბლიოთეკო სემინარი.

12 თებერვალს დივ. ბიბლიოთეკაში შესდგა ბიბ-მომუშავეების მორიგი სხდომა, რომელზედაც კომპანია „ყველა წიგნებისაკენ“ ჩასატარებლათ ბიბ—მომუშავეები მიმაგრებულ იქნენ სხვა და სხვა ბიბლიოთეკებზე. ცხენოსან ლეგიონში მიმაგრებულ იქნა ამხ. ჩიჩუა, საარტილერიო ლეგიონში ამხ. ქავთარაძე, პირველ ქვეით ლეგიონში ამხ. ლორთქიფანიძე, საკავშირო ასეულში ამხ. ტუღუში, მესანგრე ასეულში ამხ. რამიშვილი, სამხედრო შკოლაში ამხ. შავგულიძე, მე-6-სე. ტერ. ლეგიონში ამხ. საკოვი, პოლიტიკურ შკოლაში ამხ. ლალიაშვილი და დივიზიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ამხ. მურადოვა. აღნიშნულ ამხანაგებს ევალებათ პირველ გამოწვევისთანავე შეუდგენ მათზე დაკისრულ მოვალეობის შესრულებას და ამა თუ იმ ნაწილში არჩეულ კომისიასთან ერთად მოახდინონ ბიბლიოთეკის ყოველგვარი ღირსება—ნაკლულევანების გამორკვევა თანახმათ სექციის მიერ შემუშავებულ ანკეტისა და ინსტუქციების.

კომპანია „ყველა წიგნებისაკენ“ ჩატარებისათვის გადაწყდა, რომ დაუყონებლივ შეუდგენ მის გატარებას და გაღომავ ტას ყველა ნაწილის ბიბლიოთეკები... შემდეგ, სამოქალაქო ბიბლიოთეკების დასაახლოვებლათ და გასაცნობათ, გადაწყდა რომ სამხედრო ბიბლიოთეკები დაუკავშირდენ სამოქალაქო ბიბლიოთეკებს შემდეგი წესით:—საარტილერიო ლეგიონი დაუკავშირდეს წერეთლის სახელობის რაიონულ ბიბლიოთეკას და აგრეთვე ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნის კომუჯრედს, რათა იქაურ მუშებს თავდებობით მიეცეს წიგნები შინ წასაღებათ. პირველი ლეგიონის ბიბლიოთეკა უკავშირდება ავლაბრის რაიონულ სამკითხველოს. ცხენოსანი ლეგიონის—ახალ გაზრდა კომკავშირის კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკას. პოლიტიკურ შკოლის ბიბლიოთეკა—ცენტრალურ პარტ. შკოლასთან, მესანგრე და აგრეთვე საკავშირო ასეულების ბიბლიოთეკები—ამ. კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, 6 ტერ. ლეგიონის ბიბლიოთეკა—პლეხანოვის კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკას...

მორიგი სხდომა სემინარიულ მუშაობისა დანიშნულია კვირას, რომელზედაც წაკითხულ იქნება მოხსენებები—წასულ ხუთშაბათისთვის განზრახულ გეგმის მიხედვით...

გრ იან.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი.

## პური გამოუმცხვარი გვეძლევა.

პირველი ლეგიონის არმიელები მოითხოვდენ პურის ხარისხის გაუმჯობესებას, მაგრამ რაც არის, ჩვენი მეპურეები, იმასაც ვერ ამზადებენ შესაფერად. ლეგიონის ფურნეში პური ვერ მზადდება სუფთად, პურის მცხობელი ყურადღებას არ აქცევს პურის გამოცხობას, და ხშირად ნახევრად გამოუმცხვარი პური გვეძლევა. ამას კი მოსდევს არმიელების დაავადმყოფება მუცლის ტკივილით და სხვა.

ამის გამო ბევრი ამხანაგები სრულიად გაურბიან პურს.

უჭმელი ურჩენიათ დარჩენ, მუცლის ტკივილის ატეხას.

საჭიროა ლეგიონის ხელმძღვანელები მიიღებდენ შესაფერ ზომებს. შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის გაგრძელება. მოგვაწოდეთ გამომცხვარი—გამოშუშებული პური.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

# პარტიული ცხოვრება.

## ახ.კომკავშირელთა შორის.

## მეთაურთა სკოლის ახკომკავშირელთა უჯრედი.

14 თებერვალს შესდგა მეთაურთა სკოლის ახალგაზრდათა კომკავშირის კრება.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: მოხსენება ყოფა—ცხოვრების საკითხებზე, ბიურო კოლექტივის დადგენილების გამოცხადება და მიმდინარე საკითხები.

ყოფა—ცხოვრების საკითხებზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვაშალომიძემ. მან ვრცლად გააშუქა ყველა-საკითხები ახალ საზოგადოებრივ ყოფა ცხოვრებაში. შეეხო ძველსაც. მოხსენება ძლიერ საინტერესო და შინაარსიანი იყო; გამოიწვია მრავალი შეკითხვები. მცირე კამათისა და აზრთა—გაცვლა—გამოცვლის შემდეგ, კრების მიერ მოხსენების გარშემო გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ კრებამ მოისმინა ბიურო კოლექტივის დადგენილება 8 კომკავშირელის საქმის შესახებ, რომლებსაც ჰქონდათ სხვა და სხვა ბრალდებანი. დადგენილებით 3. ამხანაგი გამორიცხული იქნა კავშირიდან, ხოლო დანარჩენი ხუთი კი ჩამოყენებული იქნენ სამი თვით.

ახკორი—ნამი.



ამხ. ობოლაძე.

# ამხ. ობოლაძის, სანიკიძის და ჩუბინიშვილის ვერაგულად მოკვლის ორი წლის თავზე.

10 თებერვალს შესრულდა ორი წელი, რაც ოზურგეთის მაზრაში მენშევიკურ ბანდების მიერ ვერაგულად მოკლულ იქმნა თავდადებული გმირი, მტკიცე და ურყევი რევოლიუციონერი ამხ. საშა ობოლაძე.

კომუნიზმის იდეას მასთან ერთად შეეწირა ორი უპარტიო, მაგრამ სულით და გულით საბჭოთა ხელისუფლების თანამგრძნობნი, ქართული ჯარის წითელი კომანდირები ამხ. პ. სანიკიძე და დ. ჩუბინიშვილი.

ამხ. ობოლაძეს კარგად იცნობს არა მარტო ქართული დივიზიის უფ-პოლიტ-შემადგენლობა და წითელი-არმიელები, არამედ საქართველოს კომუნისტური პარტიის ძველი მუშაკები და თბილისის პროლეტარიატი. აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა საქართველოს წითელ ლაშქარში. 1922 წელს ამხ. საშა პარტ-მობილიზაციით გაწვეულ იქმნა ჯარში და დაინიშნა სამოსწავლო ძირითადი ათასეულის სამხედრო კომისრად. ამ მისთვის უმნიშვნელო მაგრამ საყვარელ თანამდებობაზე გაატარა მან მთელი თავისი მოუსვენარი სიცოცხლე.

თავისი ენერგიული და თავდადებული შრომით მან აღნიშნული ნაწილი გახადა თითით საჩვენებელ სამაგალითო ნაწილად მთელ ქართულ წითელ ლაშქარში. ახლო დგომა წითელ-არმიელთან, ჩაწვდომა მის გულში, გაგება მისი ჭირ-ვარამის, აი რა ახასიათებდა ამხ. საშას.

შეუდარებელი ორგანიზატორი და ნიჭიერი ორატორი ხიბლავდა არა მარტო მოყვარეს, არამედ მტერსაც. 1922 წელს ამხ. ობოლაძეს გზავნიან თავისი ნაწილით ხევსურეთში ჩოლოყაშვილის ბანდების წინააღმდეგ, სადაც მისი ხელმძღვანელობით დამარცხებულ იქმნა მენშევიკური ამბოხება. პოლიტგანყოფილება მას მამაცობისათვის აჯილდოვებს ოქროს ხმლით.

ხევსურეთიდან ჩამოსვლის შემდეგ მეშვიდე დღეს მას გზავნიან გურიაში მანწკავას და ლლონტის ბანდების წინააღმდეგ. აქ ამხ. ობოლაძე გაფთორებით ებრძვის ყაჩაღებს და სხვა საზოგადოების ნაძირალებს, რომელთაც ანადგურებს გარდა რამოდენიმე მეთაურ ბანდიტებისა.

როცა უნდა დაბრუნებულიყო თბილისში, წინა დღეს მას ოზურგეთის მახლობლად 3 ვერსის მანძილზე ეტლით მომავალს ხვდება რამოდენიმე შეიარაღებული ბანდიტი და სიცოცხლეს ასალმებენ მას და მის თანამებრძოლ ამხანაგებს სანიკიძეს და ჩუბინიშვილს.

აისრულეს გულის წადილი რასაც ხშირად უთვლიდენ ამხ. ობოლაძეს.

ამხ. საშა მოკლეს ხორციელად, მაგრამ ის სულიერად ჩვენთან წითელ ჯარში, ტრიალებს და მისი სახელის მოგონებით გაკაჟებულნი სასიკვდილო ლახვარს ჩავსცემთ მუშა ხალხის მტრებს.

ამხ. საშას გმირული თავდადება გზას გაგვინათებს მომავალ ბრძოლაში.

სოფლად კი, უვადო შვებულებაში გაშვებული წითელი არმიელები, რომლებიც აღზარდა ამხ. საშამ, მტკიცეთ ედგომებიან რევოლიუციის სადარაჯოზე თოხითა და ნამგალით ხელში.

ქ. ახათიანი.

# სამნეო დარგის საკითხები

## მეტი ყურადღება პურის ცხობას.

წინა წერილში მე უკვე ვილაპარაკე პურის ცხობაზე.

ეს საკითხი ძალიან სერიოზული და ღირსშესანიშნავია და მოითხოვს მეტ ყურადღებას. ერთეულის თვითეულმა უფროსმა და სამნეო მუშაკმა უნდა ანგარიში გაუწიოს იმას, რომ კარგათ გამომცხვარი და საერთოდ კარგი თვისების პურის მომზადება, წარმოადგენს წითელ-არმიელის ცხოვრების ერთ იმ პირობათაგანს, რომლებიც ამაგრებენ მოლაშქრის მორალურ და ფიზიკურ ძალას.

ამიტომ პურის ცხობა სულ მუდამ უნდა იქნეს ყურადღების ცენტრში. თანახმად რესპ. რევ. სამხ. საბჭ. 1923 წლის № 1260 ბრძანებისა, დაწესებულ ნორმაზე მეტი მიღე-

ბული პურის ნამატი, პირველ რიგში უნდა ხმარდებოდეს პურის — ცხობის საქმის გაუმჯობესებას და ზედმეტი ამისა, თუ რომ კიდევ აღმოჩნდა საძმო თანხაში—დახარჯულ უნდა იქმნას წითელ-არმიელის საჭმელის გასაუმჯობესებლად.

ჯარის ნაწილის სამნეო დარგი უნდა ზრუნავდეს, რომ ურის საცხობში იყოს განსაკუთრებით სისუფთავე, ამას გარდა არავის არ უნდა მიეცეს ნება დაიძინოს იმ ოთახში, სადაც პური აწყვია და ვარცლებია.

პურის მცხობლებს სულ მუდამ უნდა ჰქონდეთ სუფთა თეთრეული, გულსაფრები, თავსახურები, პირსახოცები—ცომის ზელის დროს ოფლის მოსაწმენდათ, საკმარისი რაოდენობით საპონი ხელების დასაბანად და რაც შეიძლება უფრო ხშირად იარონ პურის მცხობელებმა აბანოში საბანაოდ.

### წესიერება საკუჰნაოში.

ის, რაც ჩვენ ვსთქვით წესის დასაცავად, პურის საცხობზე და—პურის მცხობლების მომარაგებაზე, ესევე უნდა ითქვას საკუჰნაოზე და მზარეულებზე.

საჭიროა მუდმივი თვალის ჭერა, რომ სამზარეულო და სამზარეულოს ჭურჭელი იყოს ყოველთვის სისუფთავით და მზარეული—განუწყვეტლივ სუფთად და ფაქიზათ.

### მორიგის მოვალეობა.

ყველა სანოვაგე იდება ქვაბში აუცილებლივ მორიგის თანდასწრებით, ამ უკანასკნელმა უნდა გასინჯოს წონა და ზომა პროდუქტებისა განწესრიგების (რასკლადკა) მიხედვით, რომელიც უნდა იყოს საკუჰნაოში კედელზე გამოკრული.

მორიგის მოვალეობაა თვალყური ადევნოს, რომ ყველა პროდუქტები, რაც ეძლევა მზარეულს, უეჭველად ჩაწერილ იქმნას სანოვაგის ფურცელში, მასთან სადილი ცალკე და ვახშამი ცალკე.

### საერთო ზედამხედველობა.

თანახმად დასტურლამისა საჭმლის ხარშვის შესახებ (რესპ. რევ. სამხ. საბჭ. 1921 წ. № 1127 და 1922 წ. № 141 ბრძანებები) უშუალო ზედამხედველობა საჭმლის გამზადების დროს, ყველა არსებულ კანონიერ წესების დაცვაზე, შეადგენს საჭმლის დამამზადებელ ასეულის და ათასეულის თავების მოვალეობას, რომლებმაც ან თვითონ, ან თავიანთი თანაშემწეების საშუალებით, რაც შეიძლება ხშირად, უნდა აწარმოვონ ხოლმე სათანადო გადასინჯვა—გადათვალიერება ყოველისფრისა.

ერთეულის სამნეო ნაწილმა უნდა იზრუნოს, რომ საკუჰნაოში გამოჩენილ ადგილას იყოს გამოკრული პროდუქტების ნორმალური თვისებების აღწერილობა, განწესრიგება და დასტურლამა საჭმლის ხარშვის შესახებ.

ამას გარდა—უნდა საკუჰნაოში არსებობდეს განსაკუთრებული დავთარი, რომელშიც ერთეულის თავი და ყველა ის პირები, ვინც მივლენ ერთეულის დასათვალიერებლად და გასასინჯად,—შეიტანენ, წითელ-არმიელის ჭამა-კვების შესახებ, აღმოჩენილ ნაკლულევანებებს (რ. რ. ს. ს. 1922 წლ. №№ 1127 და 2693 ბრძ. ბრძ. და 1923 წლ. №№ 70 და 1204 ბრძანებები.)

ს. შაძუნი.

## უცხოეთის არმიებში.

### ბაცილებით დატენილი ბომბი.

ს. ს. რ. კავშირის მიმართ უცხოეთის გაზეთები არ კმაყოფილდებიან მარტო პოლიტიკის წარმოებით და დაიწყეს ლაპარაკი მოუშხამული ჭურვების შესახებ.

საზღვარ-გარეთელი გაზეთები ამჟამად სწერენ, რომ პროფესორ მასლიკოვიჩმა(?) გამოიგონა ბომბის ახალი სახე, რომელიც ბაცილებით არის დატენილი და უკვე შემოღებულია წითელი არმიის რიგებშიო. ეს ბომბები გაცილებით უფრო საშინელი-გამანადგურებელი თვისების არის ყველა აქამდე არსებული ასეთი ხასიათის ბომბებიო. სათანადო ცდები ხდებოდა ლენინგრადის ბაქტეოროლოგიურ ობსერვატორიაში და კარგი შედეგები მოიტანაო.

გაზ. „მორნინგ-პოსტი“ სწერს, რომ ბომბები აღჭურვილი არიან სპეციალური აპარატებით რომლებიც თითეულ თორმეტი საათის განმავლობაში უშვებენ რამოდენიმე კუბიკურ სანტიმეტრ ჟანგბადს იმ ჭურჭელში, სადაც მოთავსებული არიან ბაცილები, რადგან უიმისოდ ისინი დაიხოცებოდენო.

საბჭოთა მთავრობას საშვალება არა აქვს შეაიარაღოს თავისი არმია თანამედროვე გაუმჯობესებული საარტილერიო იარაღებით, და ამიტომ მთელ თავის ძალღონეს ახმარს თავის სპეციალურ „ქიმიურ ფონდის“ გაძლიერების საქმესო.

აი რას სწერს კაპიტალისტური ქვეყნების, დაქირავებული პრესა ჩვენს შესახებ.

ტყვილად კი არ არის ნათქვამი „ვისაც რა სტკივა, სულ იმაზე ლაპარაკობსო“.

### ბრძანების გადამცემი.

ბატარეის თავის დროზე მოწყობით ცეცხლ გახსნილ პოზიციებზე, როდესაც ზარბაზნებს შორის ინტერვალი (მანძილი) აღემატება 100 მეტრს, ზარბაზნების სროლისა და დამაყრუებელი ხმაურის ატეხის გამო, ადამიანის ხმა თითქმის გაუგონარია და ბრძანების გადაცემა მეტად ძნელდება. ამჟამად ფრანგებმა გამოიგონეს, დაამზადეს და კიდევაც გამოსცადეს სპეციალურათ ბრძანების გადასაცემი აპარატი. აპარატის პრინციპი ძლიერ მარტივია: ორი წვერალა—კონუსები—მოზრდილი A და უფრო მცირე B. მეორე კონუსი დახურულია წვეროში და მიმაგრებული მოზრდილზე. მოკლე სალაპარაკო მილი B წვერალოდან შეერთებულია მოქნილი შირის F—მილთან Д ბგერა გადის წვერალა B-ში და შემდეგ გაძლიერებულად გადადის წვერალა A ში და აქედან კი ჰაერში გადასვლით ბგერები ძლიერდებიან სამჯერ უფრო მეტად.

ამას გარდა აპარატით მექანიკურადაც შეიძლება სარგებლობა.

მასში მოთავსებულია Д მილი მემბრანით და ბოთლი E შეკუმშული ნახშირ მჟავა გაზით. მილის შემოკლების, დაგრძელების და ნახშირ მჟავა გაზის გამოშვებით შეიძლება ბგერის გახანგრძლივება ან წინააღმდეგი მოვლენა.

აპარატი იმდენად კარგი გამოდგა, რომ მისი საშუალებით ძლიერ დამაყრუებელი ხმაურობის დროსაც კი შეიძლება თავისუფლად იქნეს გადაცემული ბგერები 500 მეტრის მანძილზე.

## შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის № 36-ში მეოთხე გვერდზე გაგვეპარა ფაქტიური შეცთომა. საოჯახო ულუფის შესახებ სწერია: „საოჯახო ულუფა ეძლევა მეთაურთა შემადგენლობას ასეულის უფროსიდან ზევით“, უნდა იყოს „საოჯახო ულუფა ეძლევა მეთაურთა შემადგენლობას მწყობრის უფროსიდან ზევით“.

## ახალი ამბები.

— **ამხ. ს. ობოლაძის ხსოვნის საღამო.** დღეს წით. არმ. ცენტრ. კლუბში გაიმართება ვერაგულად დაღუპულ ამხანაგების ს. ობოლაძის, სანიკიძის და ჩუბინიძის ხსოვნის საღამო. დადგმულ იქნება 1-ლი ლეგიონის ძალებით ობოლაძის პიესა „ლაშქრობა ხევსურეთში“.

— **ლექცია პოლიტმომუშავეთათვის.** დღეს, საღამოს 6 საათზე წითელ-არმიელთა ცენტრ. კლუბში, წაკითხულ იქნება ტფილისში მდგარ ქართულ ნაწილების სასკოლო და პოლიტმომუშავეთათვის, მოხსენება კომპლექსიური მეთოდის შესახებ.

— **წითელ არმიელთა ოჯახები.** სოც. უზრუნველყოფის ტფილისის განყოფილების მიერ [illegible] ტფილისში აღრიცხულ იყო 80 წითელ-არმიელთა ოჯახი, რომელთაც ყოველთვიურათ ეძლევათ დახმარება.

— **სადგურის მოწყობა.** ზაჰესიდან ელექტრო ენერგიის მიმღებ სადგურის მოწყობა ტრამვაისთვის იკისრა თვით ტრამვაის დირექციამ.

— **სტუდენტთა ჩარიცხვა.** განათლების კომისარიატი აცხადებს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ჩარიცხვა შესწყდა, რის გამო სთხოვენ როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, ნუღარ მიმართავენ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ჩასარიცხავათ განათ. კომისარიატს.

### განცხადება.

18 თებერვალს საღამოს 6 საათზე დივიზიის ცენტრალურ კლუბში მოწვეულია თათბირი, სადაც მოხსენებას გააკეთებენ კომპლექსიურ მეთოდზე.

სამხკომებს, პასუხისმგებელ მდივნებს, პოლიტხელებს, მასწავლებლებს, მასწავლ. თანაშემწეების და ჯგუფის ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

1-ლ ქ. მ. დ. პოლიტ-განყ. აგიტ-პროპნაწილის უფროსი მ. სიმონგულოვი.

## ჭითელი არმიის შვიდი წლის თავი
(თ ე ზ ი ს ე ბ ი).

### მშვიდობიანი აღმშენებლობის წლები.

12. უკანასკნელი წლები წარმოადგენდენ მშვიდობიანი არსებობის წლებს საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რომელთაც იცავს წითელი არმიის ფოლადისებური კედელი.

სამოქალაქო ომის პერიოდში წითელი არმია რიცხვობრივად თანდათან უფრო და უფრო იზრდებოდა და იყო დრო, როცა ის აღწევდა 5,300,000 კაცამდე. 1921 წლის ბოლოს დაიწყო წითელი არმიის შემცირება, რაც გამოწვეული იყო ერთი მხრით მშვიდობიანობის პოლიტიკით, მეორე მხრით კი იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება მიისწრაფვოდა სამეურნეო ფრონტისაკენ მიემართა თავის ძალების და საშუალებების მაქსიმუმი. მთელი რიგი თანდათანობითი გადახალისების შემდეგ არმია მცირდება 600,000 კაცამდე. საბჭოთა კავშირის მშვიდობიანმა აღმშენებლობამ შესაძლებელი გახადა არა მარტო შემცირება წითელი არმიის, არამედ აგრეთვე მისი გადახალისებაც, მისი შინაგანი აპარატის—მმართველობის განმტკიცება და მთელ რიგ გაუმჯობესებათა მიღწევა: საკომანდო შემადგენლობის შერჩევა, ნაციონალური ნაწილების შედგენა და მებრძოლის სამხედრო-პოლიტიკური აღზრდის ახალი მეთოდების შემოღება.

1924 წელი იყო ტერიტორიალური ნაწილების განვითარების წელი.

### ტერიტორიალური ნაწილების შედგენა.

13. ჩვენი კავშირის თავდაცვითი უნარის უზრუნველყოფის ამოცანამ არმიის მაქსიმალურად შემცირების დროს გვაიძულა ჩვენ მიგვემართა თავდაცვის მოწყობის ახალი ფორმებისათვის. წითელი არმიის შედგენის ტერიტორიალური სისტემის შემწეობით საბჭოთა მთავრობა სცდილობს გადახალისოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ისე, რომ აუცილებელი სამხედრო მომზადება მიეცეს მშრომელთა რაც შეიძლება მეტ რაოდენობას და რაც შეიძლება ნაკლებად მოსწყდენ ისინი საწარმოო შრომას. ტერიტორიალური სისტემა საშუალებას მოგვცემს გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარი და ამავე დროს შევამციროთ მისი სამხედრო ბიუჯეტი და მით შევამსუბუქოთ გადასახადის სიმძიმე, და ახლოვეთ წითელი არმია მშრომელთა ფართო მასებს.

14. ტერიტორიალური სისტემა უმთავრესად მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფოს ხარჯზე კადრის სახით ინახება საკომანდო ადმინისტრატიული პოლიტიკური და წითელ არმიელთა შემადგენლობის მხოლოდ მცირე ნაწილი. სამხედრო მოსამსახურეების მთავარი მასა კი ირკვევა რა ნამდვილ სამხედრო სამსახურში, ეწევა საწარმოო შრომას და მხოლოდ პერიოდულად, მოკლე ვადით იკრიბება სამხედრო სწავლის მისაღებად.

15. ტერიტორიალური ნაწილების შედგენის საფუძველს წარმოადგენს ახალგაზრდობის (ჩვენი „903, 904, 905, 906 წლებში დაბადებულებები) ჯარში გაწვევამდე მომზადება. ჯარში გაწვევამდე მომზადება ნიშნავს ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, ჯანმრთელობის კაჟანსაღებას, მისი ძალის, მოქნილობის, გაბედულობის, გამძლეობის, ძლიერი სულის განმტკიცებას, რომ ის მუდამ მზად იყოს ბრძოლისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, ახალგაზრდობის წინასწარ სამხედრო მომზადებას, მის გაცნობას სამხედრო საქმის საფუძვლებთან.

16. წითელი არმია და ფლოტი ყოველთვის იძლეოდენ თვალსაჩინო მაგალითს მუშების და გლეხების მჭიდრო შეკავშირებისა. ტერიტორიალური სისტემა წარმოადგენს მჭიდრო კავშირის დამყარების საშუალებას მთელს წითელ არმიასა და მშრომელებს შორის.

ცვალებადი შემადგენლობის პერიოდულად გასვლას ტერიტორიალურ ნაწილებ დან შედეგად მოსდევს ის, რომ იგი არ განიცდის მუდმივ უშუალო მოვლენის საკომანდო და პოლიტიკური შემადგენლობის მხრივ. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მუშაობა რომელსაც ეწევიან ადგილობრივი პარტიული და პოლიტ-განმანათლებელი ორგანიზაციები ცვალებად შემადგენლობათა შორის ტერიტორიალური დივიზიების სასწავლოდ გაწვევის ხანებს შუა უნდა იყოს იმ მუშაობის გაგრძელება, რომელსაც ეწევიან პოლიტორგანოები ტერიტორიალური ნაწილების გაწვევის დროს.

აქედან აუცილებელია მჭიდრო კავშირი სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების მუშაობაში და ამ მუშაობის გეგმის ორგანიული შეთანხმება ერთი-მეორესთან.

17. კავშირის მრავალ რესპუბლიკებში მოწყობილია ტერიტორიალური ნაწილები. ჩვენში, ამიერ-კავკასიაში შედგენილია ნაციონალური დივიზია არა მარტო საქართველოში და სომხეთში, არამედ აგრეთვე აზერბეიჯანშიაც, სადაც წინად ცხოვრებლები სრულებით არ იხდიდენ სამხედრო ბეგარას. 1924 წელს ჩვენ ამიერ-კავკასიაში შევუდექით ტერიტორიალურ-ნაციონალურ ნაწილების შედგენას. ტერიტორიალური სისტემის სისწორით გატარება ბუნებრივად გვაახლოვებს ჩვენ, ნაციონალურ ნაწილების მოწყობასთან კავშირის ყველა რესპუბლიკებში, ამ რაგად ტერიტორიალური სისტემა წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ნაციონალური საკითხის გადასაჭრელად წითელ არმიაში.

დიადი ოქტომბრის რევოლიუციის პირმშო შვილი—მუშათა და გლეხთა წითელი არმია განმტკიცდა და გამოიბრძმედა სამოქალაქო ომის ცეცხლში.

წითელი არმიის მე-7-ე წლის თავის დღესასწაული კიდევ უფრო შეაკავშირებს ტერიტორიალური ნაწილების საშუალებით მუშებს და გლეხებს მთელი წითელ არმიასთან და ორგანიულად შედუღებს წითელ-არმიელებს, მუშებს და გლეხებს ერთს ძლიერ ძალათ, რომელიც შესძლებს წინააღმდეგობის გაწევას მსოფლიო იმპერიალიზმისათვის, თუ ის გაბედავს ოქტომბრის მონაპოვარზე თავდასხმის ცდას.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე